

ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #43

2024წ. 22 ნოემბერი 11.00 საათი

* ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
ნ.რუხაძე, მ.კაკაურიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები

ნინო ბაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო, უფროსის მოადგილე

გაიოზ თალაკვაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის
უფროსი

ლევან მიქავა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის
უფროსის მოადგილე

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე

ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა
გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის
წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
N:12-032432550-03 20.11.2024
2. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.719, ფართობი - 9 354 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
#12-0324298160-03 29.10.2024წ.
3. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.004, ფართობი- 1060 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
#12-032429859-03 29.10.2024წ.
4. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ (ნაკვ.15/119)-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.259, ფართობი - 600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
#12-032431243-03 07.11.2024წ.
5. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N50-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.72.14.036.408, ფართობი - 1600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
#12-032431221-03 07.11.2024წ.
6. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის I მიკრორაიონის კორპუსი N17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.413, ფართობი - 19 160 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების

თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

N:12-032431919-03 15.11.2024წ.

7. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისში, ირაკლი ფარჯიანის ქუჩა N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.10.022.342) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

N:12-032432465-03 19.11.2024

8. დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

N:12-03243262-03 21.11.2024

1. მოისმინეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ დეპუტატებს გააცნო 2024 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად შემოსავლების ნაწილში იზრდება ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 2 500,0 ათასი ლარით, შესაბამისად მცირდება მიწაზე ქონების გადასახადი, არაფინანსური აქტივების კლების ნაწილში იზრდება საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები - 19 691,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფინანსური აქტივების კლების ნაწილში მცირდება სესხებიდან მისაღები შემოსავლები - 100,0 ათასი ლარით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 23 აგვისტოს N24.1463.1654 განკარგულებით ჩამოიწერა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გლდანის, ნამალადგვის, დიდუბის, ისნის და სამგორის რაიონებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებზე ამორტიზირებული ლიფტების სარეაბილიტაციოდ გაცემული სესხები). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 19 591,6 ათასი ლარით და შეადგენს 2 077 927,2 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და

გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში - 671,8 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 28 200,0 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) პროგრამის ასიგნებები - 245,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) - 9 677,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 419,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში - 348,6 ათასი ლარით; ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 984,2 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 200,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 9 634,5 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 87,7 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 522,0 ათასი ლარით, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი 06 01 03) - 54,8 ათასი ლარით, სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) - 491,2 ათასი ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) - 939,8 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) - 1 243,0 ათასი ლარით, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) - 841,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური 2 დახმარება (კოდი 06 02 02) - 109,2 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 180,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) - 19,6 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 50,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) - 45,3 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები რაიონებში - 797,7 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 168,8 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 160,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 2 200,0 ათასი ლარით, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) - 55,0 ათასი ლარით, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) - 300,0 ათასი ლარით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 50,0 ათასი ლარით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (კოდი 08 01 01) - 45,0 ათასი ლარით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) - 42,0 ათასი ლარით, თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) - 24,4 ათასი ლარი, სანდრო მრეველიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) - 23,2 ათასი ლარით, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) - 21,7 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 610,0 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 35,6 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 438,1 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 702,3 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 357,1 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა

(კოდი 08 08 02) - 50,7 ათასი ლარით, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ასიგნებები - 14,0 ათასი ლარით, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) - 21,5 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) - 1 000,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - 1 000,0 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა: საბაგრო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) - 1 232,2 ათასი ლარის ოდენობით.

მცირდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 300,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 11,5 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 1 000,0 ათასი ლარით, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) - 866,6 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 2 364,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 616,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 247,2 ათასი ლარით, 3 ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 984,2 ათასი ლარით, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 5 425,4 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნებები - 13,0 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 154,9 ათასი ლარით, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) - 50,0 ათასი ლარით, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) - 10,0 ათასი ლარით, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) - 284,2 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები - 199,8 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) - 140,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა რაიონებში - 164,7 ათასი ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08) - 109,3 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) - 1 000,0 ათასი ლარით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) - 15,0 ათასი ლარით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05) - 4,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) - 35,0 ათასი ლარით, სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდ 06 02 06 04) - 59,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 02 08) - 1 036,0 ათასი ლარით, მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (კოდი 06 02 13) - 4,6 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 14 11) - 44,7 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) - 209,9 ათასი ლარით, გარდაცვლილი მეომართა სარიტუალო მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 15 12) - 1,1 ათასი ლარით, გარდაცვლილი მეომართა სარიტუალო მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 15 16) - 6,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები

გლდანის რაიონში (კოდი 06 02 16 07) - 130,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) - 20,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) - 230,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) - 22,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) - 150,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 17 08) - 2,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 17 09) - 5,4 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 17 12) - 2,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 50,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) - 484,2 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) - 39,6 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) - 13,7 ათასი ლარით, შიშინმოვლის 4 თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) - 26,9 ათასი ლარით, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) - 0,6 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 5 000,0 ათასი ლარით, სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) - 30,3 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) - 1 724,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (კოდი 10 24) - 2 479,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25) - 4 102,3 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) - 20,0 ათასი ლარით, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 38) - 1 850,0 ათასი ლარით, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაშემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 39) - 1 300,0 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 315,4 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 8 407,8 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 7 860,2 ათასი ლარით.

2. მოსმინეს:

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა კომისიის წევრებს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.719, ფართობი - 9 354 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში

წარდგენილი 2024 წლის 16 ივლისის N01241983269-67 (N01242272260-67; N0124263489-67; N01242753531-67; N01242923842-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.719) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.14.05.007.719 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=4.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

N01.14.05.007.719 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივსაქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გვ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 90%-ისა. დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები:

*მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1 = 0.5 * / 0.7*

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2 = 3.5

*მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0.2 / 0.3**

მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700 კვ.მ*

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15/20 მ*

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25/30 მ*

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის.

N01.14.05.007.719 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N556 განკარგულებით, დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=4.2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის პირველი მაისის N6439898 ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.2).

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.2-დან კ-2=4.4-მდე, რაც გულისხმობს 27 (ოცდაშვიდი) და 15 (თხუთმეტი) სართულიანი შენობების განთავსებას (შეთანხმებულ მოცულობაზე საცხოვრებელ ბლოკზე 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატება და საოფისე ბლოკზე 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატება), ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

N01241983269-67 (N01242272260-67; N0124263489-67; N01242753531-67; N01242923842-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N006122024, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 27 614 287 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 1 314 966.05 (ერთი მილიონ სამას თოთხმეტი ათას ცხრაას სამოცდაექვსი და ხუთი მესამედი) ლარით.

3. მოისმინეს:

სხდომაზე წარმოდგენილი იქნა, აგრეთვე, "კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით,

მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.004, ფართობი - 1 060 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 2 ოქტომბრის N01242764079-67 (N01242812513-67; N01242852730-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N9-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.004) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.10.13.033.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=7.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.10.13.033.004 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 მაისის N7047745 ბრძანებით მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=3.5).

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=7.0-მდე, რაც გულისხმობს 16 (თექვსმეტ) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

N01242764079-67 (N01242812513-67; N01242852730-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N003643224, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 3 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 3 481 048 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის

სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 3,481,048.00 (სამი მილიონ ოთხას ოთხმოცდაერთი ათას ორმოცდარვა) ლარით.

4. მოისმინეს:

ნინო ბაგაშვილმა დამსწრე დეპუტატებს გააცნო „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ (ნაკვ.15/119)-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.259, ფართობი - 600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2024 წლის 31 ოქტომბერს წარდგენილი N01243053659-67 განცხადებით ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ (ნაკვ.15/119)-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.259, ფართობი - 600 კვ.მ) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.259, ფართობი - 600 კვ.მ) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.14.16.015.259 საკადასტრო კოდიით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.11.05.013.254 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 29 თებერვლის N6912195 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის (კ-2=1.5).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-

3) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 3 (სზ-3)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 1.5

მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0,3

მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 300 / 400 კვ.მ*

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 9 / 12 მ*

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 20 / 25 მ*

*შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე - 15**/17****

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და სასტუმროსთვის.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა.

გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონისა, გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.5-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 2 (ორი) სართულის დამატებასა და 7 (შვიდი) სართულიანი შენობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

N01243053659-67 განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N004670024, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 531 513 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის

სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 354,342.00 (სამას ორმოცდათოთხმეტი ათას სამას ორმოცდაორი) ლარით.

5. მოისმინეს:

სხდომაზე განხილული იქნა, აგრეთვე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა, N50-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.72.14.036.408, ფართობი - 1600 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2024 წლის 21 ოქტომბერს წარდგენილი N01242951216-67 (N01243041415-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ვეფხისტყაოსნის ქუჩა, N50-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: კოდი: 01.72.14.036.408, ფართობი - 1600 კვ.მ) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.72.14.036.408 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=4.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ძირითადად ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა.

N01.72.14.036.408 საკადასტრო ერთეულზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 4 თებერვლის N4362153 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. იმავე სამსახურის 2019 წლის 11 ივნისის N4539051 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 1 ნოემბრის Nზ01.01183052 ბრძანებით გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=4.1-მდე, რაც გულისხმობს 11 (თერთმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

N01242951216-67 (N01243041415-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N006620324, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 2 084 045 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 357,264.86 (სამას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორას სამოცდაოთხი და ოთხმოცდაექვსი მეასედი) ლარით.

6. მოისმინეს:

კომისიის წევრებმა განიხილეს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიდის I მ/რ, კორპუსი N17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.413, ფართობი - 19 160 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 20 ოქტომბრის N012429433-67 (N01243062434-67; N0124311657-67; N01243123104-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის I მ/რ, კორპუსი N17-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.413) შესაკუთრებ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.14.01.007.413 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

N01.14.01.007.413 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)შეთანხმებით დაშვებული სახეობები; დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0.5

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2 = 2.5

მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0.3

მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700* კვ.მ

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15/20* მ

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25/30* მ

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.

N01.14.01.007.413 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N542 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (კ-2=2.5).

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს ორი 18 (თვრამეტ) სართულიანი და ერთი 16 (თექვსმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

N012429433-67 (N01243062434-67; N0124311657-67; N01243123104-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N005192224, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 29 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 14 479 735 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 2,895,947.00 (ორი მილიონ ოთხმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი) ლარით.

7. მოისმინეს:

სხდომაზე განხილული იქნა, აგრეთვე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ირაკლი ფარჯიანის ქუჩა, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.10.022.342, ფართობი: 6 040 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 7 ნოემბრის №01243123895-67 (№01243203002-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ირაკლი ფარჯიანის ქუჩა, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.10.022.342) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) №01.10.10.022.342 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

№01.10.10.022.342 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15

მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) -ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $k-1 = 0,5$

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი $k-2 = 2,5$

მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი $k-3 = 0,3$

მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - $600 / 700^*$ კვ.მ

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - $15 / 20^*$ მ

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - $25 / 30^*$ მ

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის.

საპროექტო საკადასტრო ერთეულზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №625 განკარგულებით, დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ($k-2 = 2.5$).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის №7130478 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ა“ ბლოკი; „ბ“ ბლოკი) არქიტექტურული პროექტი ($k-2 = 2.5$) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($k-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $k-2 = 2.5$ -დან $k-2 = 3.1$ -მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე (ორი ბლოკი) სამი და ორი სართულის დამატებას, ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

№01243123895-67 (№01243203002-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა №006962824, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 7 225 973 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა 1,734,233.52 (ერთი მილიონ შვიდას ოცდათოთხმეტი ათას ორას ოცდაცამეტი და ორმოცდათორმეტი მესედი) ლარით.

8. მოისმინეს:

კომისიის სხდომაზე განხილული იქნა დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N20/ლუბ ვაჩინსკის ქუჩა N2 (ს/კ 01.17.13.041.016) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებულ პირთა ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის“ (ს/ნ: 454407721) მიმართ გაცემული მხარდაჭერი ღონისძიებების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ქ. თბილისში, ბეჟანიშვილის ქ. N11-ში (ს/კ: 01.12.12.005.001) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „შიზის“ (ს/ნ: 406368728) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

ძირითადი დებულებების” 35-ე მუხლისა და „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 ნოემბრის N24.1972.2205 განკარგულების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმი #12-ის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), მუხამის ქ. N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004) და ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

- ა) გასცეს კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებულ პირზე - შპს „კადე ოილზე“ (ს/ნ:404515217), ვალდებულების გასტუმრების მიზნით, 80 182.15 ევროს ოდენობით;
- ბ) „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირის - გიორგი ბახტაძის (პ/ნ: 01005011842) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.14.022.005.01.01.027ა) საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრულ იურიდიული პირის - სს „საქართველოს ბანკის“ (ს/ნ: 204378869) ანგარიშზე ჩარიცხოს 84,788.96 აშშ დოლარი;
- გ) „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა

სია) გათვალისწინებული პირის - ირმა მჭედლიშვილის (პ/ნ: 25001002962) დათმობილი უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.17.006.001.01.057) საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრულ იურიდიული პირის - სს „საქართველოს ბანკის“ (ს/ნ: 204378869) ანგარიშზე ჩარიცხოს 79,460.04 (სამოცდა ცხრამეტი ათას ოთხას სამოცი მთელი ოთხი მეასედი) აშშ დოლარი;

- დ) „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს შავლეგ ციხელაშვილი (პ/ნ: 01013019533);
- ე) „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირის - შავლეგ ციხელაშვილის (პ/ნ: 01013019533) დათმობილი უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.14.028.035.01.011) საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრულ იურიდიული პირის - სს „საქართველოს ბანკის“ (ს/ნ: 204378869) ანგარიშზე ჩარიცხოს 75,000 (სამოცდა თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი;
- ვ) „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებულ პირს დავით ბაჩიაშვილზე (პირადი N01024017837) გასცეს ფულადი კომპენსაცია 97 825 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, აღნიშნული კომპენსაციის გაცემა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებას, ამავე პუნქტის საფუძველზე სს „საქართველოს ბანკის“ (ს/ნ: 204378869) მიერ საბანკო ვალდებულების მოხსნის შემდეგ, უფლებრივად უნაკლო უძრავ ქონებას (ს/კ: 01.10.17.006.001.01.057) საკუთრებაში გადასცემს ირმა მჭედლიშვილს (პ/ნ: 25001002962) („მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის

ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირს);

ზ) „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულებით გათვალისწინებულ დანართ N6-ს (კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჩამონთვალი, რომელთა მიმართაც საჭიროა მოხდეს ვალდებულების გასტუმრება) დაემატოს სს „პაშა ბანკი საქართველო“ (ს/კ:404433671);

თ) „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) გათვალისწინებული პირების შოთა ჯვარიშვილის - პ/ნ: 01024078822, ირაკლი მამულაშვილის - პ/ნ: 31001003727, მაია კალანდაძის - პ/ნ: 01024025188) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების(ს/კ: 01.10.14.028.011.01.049; ს/კ: 01.10.14.025.039.01.02.001; ს/კ: 01.10.14.025.039.01.03.504) საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრულ იურიდიული პირის - სს „პაშა ბანკი საქართველოს“ (ს/კ:404433671) ანგარიშზე ჩარიცხოს ჯამურად 174 679.23 აშშ დოლარი აშშ დოლარი, მათ შორის:

თ.ა) შოთა ჯვარიშვილის (პ/ნ: 01024078822) უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.14.028.011.01.049) ბანკის იპოთეკური ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის სს „პაშა ბანკი საქართველოს“ (ს/კ:404433671) ანგარიშზე ჩარიცხოს 109 192.20 (ასცხრა ათას ას ოთხმოცდათორმეტი და ოცი მესამედი) აშშ დოლარი;

თ.ბ) ირაკლი მამულაშვილის (პ/ნ: 31001003727) უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.14.025.039.01.02.001) ბანკის იპოთეკური ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის სს „პაშა ბანკი საქართველოს“ (ს/კ:404433671) ანგარიშზე ჩარიცხოს 18 795.43 (თვრამეტი ათას შვიდასოთხმოცათხუთმეტი და ორმოცდასამი მესამედი) აშშ დოლარი;

თ.გ) მაია კალანდაძის (პ/ნ: 01024025188) უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.14.025.039.01.03.504) ბანკის იპოთეკური ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის სს „პაშა ბანკი საქართველოს“

(ს/კ:404433671) ანგარიშზე ჩარიცხოს 46 691.80 (ორმოცდაექვსი ათას ექვსას ოთხმოცდათერთმეტი და ოთხმოცი მესასედი) აშშ დოლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N20/ლევ კაჩინსკის ქუჩა N2 (ს/კ 01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დაინტერესებული პირის შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის“ (ს/ნ: 454407721) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 ნოემბრის N24.1971.2209 განკარგულების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმის N12-ის საფუძველზე,

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N20/ლევ კაჩინსკის ქუჩა N2 (ს/კ 01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის“ (ს/ნ: 454407721) მიმართ გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებასთან დაკავშირებით;

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N20/ლევ კაჩინსკის ქუჩა N2 (ს/კ 01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებების ხელახლა გაცემა მოხდეს მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრით რეგისტრირებული ყველა მესაკუთრის, მათ შორის მომავალი მესაკუთრის ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში;

ძალადაკარგულად გამოაცხადდეს „მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N20/ლევ კაჩინსკის ქუჩა N2 (ს/კ: N01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დაინტერესებული შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის“ (ს/ნ 454407721) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N222 განკარგულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 ნოემბრის N24.1969.2207 განკარგულების აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმის N12-ის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის (ს/ნ 405408820) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N23.1904.2103, 13.12.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული (განკარგულება N621, 19.12.2023 ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, მისამარფებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25, (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის მიმართ შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე: შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი ფუნქცია განისაზღვროს არაუმეტეს 95%-ით. ამასთან, სამშენებლო ობიექტი გათავისუფლდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16¹ და 16² მუხლებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენებისგან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის, „ქალაქ თბილისში, მარიჯანის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის N24.1785.2010 განკარგულების და „ქ. თბილისში, მარიჯანის ქ. N2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 ნოემბრის N24.1968.2208 განკარგულების აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 23 ოქტომბრის სხდომის ოქმის N11 და 2024 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმის N12-ის საფუძველზე.

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2-ში (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 15,4-ით (მათ შორის, მიწის ფართის უცვლელად საკადასტრო საზღვრების კორექტირების შემთხვევაში, ამ ახალ მიწის ნაკვეთზე);

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს 0,9-ით (მათ შორის, მიწის ფართის უცვლელად საკადასტრო საზღვრების კორექტირების შემთხვევაში, ამ ახალ მიწის ნაკვეთზე);

გ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების და მიჯნის ზონის დაუცველად (მათ შორის, მიწის ფართის უცვლელად საკადასტრო საზღვრების კორექტირების შემთხვევაში, ამ ახალ მიწის ნაკვეთზე);

დ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი ფუნქცია განისაზღვროს არაუმეტეს 81%-ით. ამასთან, სამშენებლო ობიექტი გათავისუფლდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16¹ და 16² მუხლებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენებისგან;

ე) ახალაშენებული შენობა-ნაგებობის სართულების რაოდენობა, არასრული სართულის ჩათვლით განისაზღვროს არაუმეტეს 27 სართულისა. ამ 27 სართულიდან: 4 სართული უნდა იყოს კომერციული/საოფისე დანიშნულების ფართები, 1 სართული უნდა იყოს არასრული სართული (საინჟინრო კომუნიკაციების ქსელებისა და აგრეგატებისთვის. ამასთან არასრული სართულის გაანგარიშება მოხდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად), 22 სართული უნდა იყოს საცხოვრებელი დანიშნულების ფართები;

ვ) ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 153 ერთეულით;

ზ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;

თ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისაგან გათავისუფლებით;

ი) განმცხადებლის სურვილის გათვალისწინებით, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით;

კ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საფასადაე სიბრტყეზე განთავსებული საფასადაე დეტალებისა და აივნების ტროტუარზე არაუმეტეს 1.5 მეტრის ოდენობით გადმოსვლის შესაძლებლობით;

ლ) თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით არსებული კლიენტთა სიის, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 4 აგვისტოს N17 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების გარდა, სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიები, შპს „მარიჯანის“ (ს/კ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/კ 204531499) ან/და შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიერ;

მ) შესაბამის მესაკუთრეთა თანხმობა, საჭიროების შემთხვევაში წარდგენილ იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ეტაპზე.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N2-ში (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N361 განკარგულება;

ბ) „ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2 (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N670 განკარგულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „შიზის“ (ს/კ 406368728) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 20 ნოემბრის N24.1970.2206 განკარგულების აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ

მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმი #12-ის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ.თბილისში, ბეჟანიშვილის ქ. #11-ში (ს/კ: 01.12.12.005.001) მდებარე არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული ხელშემწყობი ღონისძიების ფარგლებში, შპს „შიზის“ (ს/ნ: 406368728) მიერ შესრულებული ვალდებულება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში ჩაითვალოს შესრულებულად და ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.


კითხვები დასვეს: ლ.არველაძე, ა.ხუჯაძე, ნ.რუხაძე, ლ.დავითაშვილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ განხილული ყველა საკითხი შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე



ლ.არველაძე